

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №41/ნ

2011 წლის 21 მარტი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 26 ივნისის №581 ბრძანება.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2011 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

დ. შაშკინი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

წესდება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დაარსდა 1922 წლის 16 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის სახით, რომელსაც 1928 წელს შეუერთდა 1917 წელს დაარსებული თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტი და ჩამოყალიბდა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, შემდეგში 1936 წლიდან – როგორც საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი, 1948 წლიდან – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხოლო 1990 წლიდან – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არის ქვეყანაში საინჟინრო მიმართულების წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების შესაბამისად ახორციელებს საუკეთესო ტრადიციებსა და ინოვაციებზე დაფუძნებულ უმაღლესი განათლებასა და სამეცნიერო-კვლევებს პიროვნებისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ხელმძღვანელობს ევროპის უნივერსიტეტთა დიდი ქარტიისა და ბოლონიის დეკლარაციის პრინციპებით.

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. წესდების რეგულირების სფერო

წინამდებარე წესდება აწესრიგებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) მიზნებსა და ამოცანებს, ადგენს და არეგულირებს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, უნივერსიტეტის სტრუქტურას, მართვის ორგანოების, პერსონალის არჩევისა და დანიშვნის წესებსა და უფლება-მოვალეობებს, საბიუჯეტო-საფინანსო საქმიანობის პრინციპებსა და წესებს, ასევე უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. უნივერსიტეტის სტატუსი და სიმბოლიკა

1. უნივერსიტეტი არის ავტონომიური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება –

საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ეწევა უმაღლეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით და ინოვაციურ საქმიანობას, კერძოდ:

ა) ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფარგლებში შეიმუშავებს და ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) და პროფესიული განათლების ხუთივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს;

ბ) ასრულებს ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო კვლევებს მეცნიერების მიმართულებათა ფართო სპექტრით;

გ) ახორციელებს საინოვაციო, საპროექტო, საცდელ-საკონსტრუქტორო და საწარმოო საქმიანობას. წარმოადგენს წამყვან სამეცნიერო-კვლევით, მეთოდურ, საექსპერტო და საკონსულტაციო ცენტრს თავისი საქმიანობის სფეროებში;

დ) ახორციელებს საკუთარი პერსონალის მომზადების, გადამზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებს;

ე) ეწევა მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ სხვა საქმიანობას.

2. უნივერსიტეტს აქვს ბეჭედი თავისი სიმბოლიკით და სახელწოდებით, ჰიმნი, დროშა, გერბი, ბლანკები და შტამპი, საიდენტიფიკაციო ლოგოტიპი, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

3. უნივერსიტეტის გერბი წარმოადგენს ფარს, რომლის არქიტექტონიკაში ძირითადი ადგილი უჭირავს ვანის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ, ძველი წელთაღრიცხვის მე-2 საუკუნის II ნახევრით დათარიღებულ, ქართული საინჟინრო აზროვნების – მხატვრული სამსხმელო წარმოების ნიმუშის, ბრინჯაოს არწივის გამოსახულებას. ფარს ზემოთ გვირგვინად ადგას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აბრევიატურა „სტუ“, რომელშიც ჩაწულია ფარზე განფენილი ბაფთა უნივერსიტეტის ლათინური დასახელებით: „**GEORGIAE UNIVERSITAS RERUM TECHNICI**“. ფარზე დატანილია დევიზი - „ცოდნა ძალაა“ ლათინურ ენაზე: „მცინტია პოტესტას ესტ“ და უნივერსიტეტის დაარსების წელი - „1922“.

4. უნივერსიტეტი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

5. უნივერსიტეტის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელწოდებაა: **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**, ინგლისურ ენაზე - **GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**; ლათინურ ენაზე – **GEORGIAE UNIVERSITAS RERUM TECHNICI**. შემოკლებული სახელწოდებაა: **სტუ, GTU**.

6. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0175, მ.კოსტავას ქ.№77. ელექტრონული მისამართია: www.gtu.edu.ge.

მუხლი 3. უნივერსიტეტის უფლებამოსილება

1. მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების ფარგლებში უნივერსიტეტი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში; იგი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს კანონებით „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“, სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ წესდებით.

2. უნივერსიტეტი შეიძლება სასამართლოში გამოვიდეს მხარედ (მოპასუხედ ან მოსარჩლედ), დადოს გარიგებები და შეთანხმებები მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

3. უნივერსიტეტს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფარგლებში, აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვის უფლება.

4. უნივერსიტეტი გასცემს მინიჭებული აკადემიური ხარისხის ან მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს/სერტიფიკატს.

5. უნივერსიტეტი დამოუკიდებელია თავისი სტრუქტურის ფორმირებაში.

6. უნივერსიტეტში წესდების, დებულებებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედებს სტუდენტური თვითმმართველობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

7. უნივერსიტეტის ფარგლებში დაუშვებელია ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკური ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულის შექმნა და ფუნქციონირება, ასევე პარტიული აგიტაციისა და პროპაგანდის წარმოება.

8. უნივერსიტეტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აფუძნებს კერძო სამართლის სამეწარმეო (კომერციულ) და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს.

თავი II

უნივერსიტეტის მისია, მიზნები, ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუხლი 4. უნივერსიტეტის მისია

1. უნივერსიტეტი არის ჰუმანიზაციაზე დაფუძნებული ინჟინერიის, ტექნოლოგიების და კულტურის კერა. მისი მისიაა ინოვაციებზე დამყარებული უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული კვლევების უზრუნველყოფა, მოქალაქეობრივი ცნობიერებისა და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, სტუდენტებსა და პროფესორებს შორის მაღალი სულიერების, ზნეობრიობის დამკვიდრებით.

2. სწავლება უნივერსიტეტში მიმდინარეობს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა საფეხურზე, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარებისა და ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველყოფისათვის; სპეციალისტების მომზადება წარმოებს ინჟინერიის, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ადამიანმცოდნეობის სფეროში განათლების შეთავაზებით; უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა ისეთი ცოდნისა და კომპეტენციების შეძენას, რაც ხელს შეუწყობს განათლების შემდგომ გაღრმავებას და საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანას.

3. კვლევები უნივერსიტეტში მიმდინარეობს მეცნიერების მრავალი მიმართულებით მაღალი კვალიფიკაციის მკვლევრებისა და წარჩინებულ სტუდენტთა შემოქმედებითი თანამონაწილეობით უნივერსიტეტის ლაბორატორიებში, სამეცნიერო ცენტრებში, ინსტიტუტებში, ტექნოპარკებში. ამით ხელს უწყობს საქართველოში მეცნიერებატევადი მიმართულებების განვითარებას და ღირსეული წვლილის შეტანას საქართველოსა და მსოფლიოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ წინსვლაში.

4. საზოგადოებრივი მომსახურება უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით, ეფექტური უწყვეტი განათლების სისტემით, საწარმოებთან ერთობლივი კვლევებით, მეცნიერულ მიღწევათა ტრანსფერით და ინოვაციური მაღალტექნოლოგიური პროდუქციით.

მუხლი 5. უნივერსიტეტის მიზნები და ამოცანები

1. უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზანია თანამედროვე სამეცნიერო-კვლევებისა და ინოვაციური საქმიანობის საფუძველზე საერთაშორისო მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

2. უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო, ინოვაციური და მმართველობითი საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

ა) საგანმანათლებლო საქმიანობაში: საზოგადოებისა და სახელმწიფო მოთხოვნების დაკმაყოფილება აკადემიური და პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციურ სპეციალისტებსა და სამეცნიერო-პედაგოგიურ კადრებზე, რომლებიც აქტიურად შეუწყობენ ხელს საქართველოში ეკონომიკურ ზრდას, ბუნებრივი გარემოსა და რესურსების დაცვასა და გონივრულ გამოყენებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას;

ბ) სამეცნიერო საქმიანობაში: საქართველოში ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებების განვითარება, სპეციალისტებისა და უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო კადრების მომზადების ეფექტურობის ამაღლება, კონკურენტუნარიანი სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციისა და მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების შექმნა;

გ) ინოვაციურ საქმიანობაში: უნივერსიტეტში განათლების და მეცნიერების სფეროში აუცილებელი პირობების შექმნა საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის უახლესი შედეგების დანერგვისა და ეფექტური გამოყენებისათვის;

დ) მმართველობით საქმიანობაში: საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, საწარმო-სამეურნეო, ორგანიზაციულ-ეკონომიკური და საფინანსო საქმიანობის სრულყოფისათვის ხარისხის საყოველთაო მართვის პრინციპების გათვალისწინება, ხარისხის პრობლემის გადაწყვეტა სისტემურ საფუძველზე, მართვის სისტემის დამუშავება საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით და ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სერტიფიცირების უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

3. უნივერსიტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) საგანმანათლებლო საქმიანობაში:

ა.ა) სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირების – მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება;

ა.ბ) პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირების – ბაკალავრების და პროფესიული განათლების მქონე პირების – სპეციალისტების მომზადება;

ა.გ) უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო კადრების მომზადება, უნივერსიტეტის აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის პროფესიული განვითარება;

ა.დ) მრეწველობის სხვადასხვა დარგების საინჟინრო და მმართველი კადრების პროფესიული სრულყოფა და გადამზადება;

ა.ე) ელექტრონული, დისტანციური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

ა.ვ) უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვა;

ა.ზ) სტუდენტებში სამოქალაქო პოზიციის, თანამედროვე ცივილიზაციისა და დემოკრატიის პირობებში შრომისა და ცხოვრების უნარის ფორმირება;

ა.თ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან,

ასევე უნივერსიტეტის ფაკულტეტების შესაბამისი დარგის/პროფილის საწარმოებთან,

ორგანიზაცია-დაწესებულებებთან და პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობა;

ა.ი) უნივერსიტეტს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესით ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად. ასევე სხვა ნებისმიერი საწარმოს, ორგანიზაცია-დაწესებულებისა და პროფესიული ასოციაციის მონაწილეობით, რომლებიც ეწევიან საქმიანობას უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილით;

ა.კ) სტუდენტთა და პროფესორთა მობილობის ხელის შეწყობა.

ბ) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში:

ბ.ა) ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ორგანიზება და წარმართვა;

ბ.ბ) სასწავლო პროცესთან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფა;

ბ.გ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩაბმა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში;

ბ.დ) საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარება უნივერსიტეტში მეცნიერებატევადი პროდუქციის შექმნისა და მსოფლიო ბაზარზე გატანის მიზნით;

ბ.ე) საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის დროს შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების უფლებრივი დაცვის ხელშეწყობა;

ბ.ვ) უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის საორგანიზაციო, ნორმატიულ-მეთოდური, საინფორმაციო-ანალიზური, მეტროლოგიური და სარეკლამო-საგამოფენო უზრუნველყოფა;

გ) ინოვაციურ საქმიანობაში:

გ.ა) უნივერსიტეტისათვის პროფილურ ბაზრებზე საგანმანათლებლო მომსახურების, აგრეთვე შრომის ბაზრებზე მარკეტინგული და პროგნოზულ-ანალიტიკური კვლევების ჩატარება;

გ.ბ) განათლების და მეცნიერების სფეროში ინოვაციური საქმიანობის სტრუქტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარება და სრულყოფა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესების ორგანიზაციისა და მართვის ინოვაციური პრინციპების დამუშავება და დანერგვა;

გ.გ) უნივერსიტეტის სტრატეგიულ პარტნიორებთან – სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროფილის დაწესებულებებთან და სამრეწველო საწარმოებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის ორგანიზება და უზრუნველყოფა;

გ.დ) კონკურენტუნარიანი მეცნიერებატევადი პროდუქციის შექმნაში ხელშეწყობა და საინოვაციო ბაზრებზე მისი გატანის უზრუნველყოფა;

გ.ე) ინოვაციური საქმიანობის სფეროში კონსალტინგური მომსახურების გაწევა;

პარტნიორების მიერ ინოვაციური პროდუქტების რეალიზაციისათვის;

გ.ვ) კადრების მომზადება ინოვაციური საქმიანობისათვის;

გ.ზ) პერსპექტიული კვლევების დაფინანსება.

დ) მმართველობით საქმიანობაში:

და.ა) უნივერსიტეტის სტრუქტურის ოპტიმიზაცია;

და.ბ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზაცია მართვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;

და.გ) უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი სახეობების დაფინანსებისათვის სახსრების მოზიდვის და რაციონალური გამოყენების ეფექტური სისტემის შექმნა, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება;

და.დ) აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში;

და.ე) მართვისა და კონკურსების საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

და.ვ) თანამშრომელთა და სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, სპორტისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა;

და.ზ) საგანმანათლებლო მომსახურებისა და სპეციალისტების მომზადების ხარისხის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა;

და.თ) განათლებისა და კვლევების ხარისხის მართვის სისტემის სრულყოფა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

მუხლი 6. უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის აკადემიური პროგრამების, ასევე პროფესიული განათლებისა და კანონმდებლობით დაშვებული სხვა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

ბ) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვა;

გ) საპროექტო, საძიებო და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობა;

დ) საექსპერტო, დიაგნოსტიკური და საკონსულტაციო საქმიანობა;

ე) საგამომცემლო საქმიანობა;

ვ) მეცნიერებატევადი პროდუქტის შექმნა.

თავი III

უნივერსიტეტის სტრუქტურა, მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები) და მათი უფლებამოსილება

მუხლი 7. უნივერსიტეტის სტრუქტურა.

1. უნივერსიტეტის სტრუქტურა განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესდების შესაბამისად.

2. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის (ფაკულტეტი, უმაღლესი სკოლა, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული (ინსტიტუტი, ცენტრი), საცდელ-საწარმოო, სასწავლო-საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო, საპროექტო-საკონსტრუქტორო ცენტრები, ტექნო-პარკები და სხვ.) შექმნა,

რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, რასაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

3. უნივერსიტეტის (ან უშუალოდ ფაკულტეტის შემადგენლობაში მყოფი) სტრუქტურული ერთეულის სტატუსი, ავტონომიურობის ფარგლები, უფლებამოსილება, დაფინანსების, მართვის, საქმიანობისა და ლიკვიდაციის წესები განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით, რასაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 8. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები) და მართვის პრინციპები

1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2. უნივერსიტეტის მართვის პრინციპები განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

მუხლი 9. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დაკომპლექტების წესი და უფლებამოსილება

1. აკადემიურ საბჭოში აირჩევა თითოეული ფაკულტეტიდან ორ-ორი წარმომადგენელი.
2. აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტებიდან ასარჩევ კანდიდატთა და ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების წესები განისაზღვრება დებულებით „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ (შემდგომში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება), რომელსაც შეიმუშავებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
3. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, მის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების წარმომადგენლებსაც.
4. აკადემიურ საბჭოში დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა მონაწილეობის წესი და წარმომადგენლობის კვოტა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.
5. აკადემიური საბჭოს წევრი ირჩევა 4 წლის ვადით.
6. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის და აკადემიური საბჭოს შემადგენლობის განახლების საკითხები რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
7. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია:
 - ა) შეიმუშაოს და დაამტკიცოს უნივერსიტეტის სიმბოლიკა, რასაც დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
 - ბ) მიიღოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტის მიერ კერძო სამართლის სამეწარმეო (კომერციული) და არასამაწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების დაფუძნების შესახებ, რასაც დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
 - გ) მიიღოს გადაწყვეტილება რექტორის სათათბირო ორგანოების – უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოსა და რექტორატის შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, რითაც დარეგულირდება მათი უფლებამოსილების ფარგლები, რიცხოვნობა, შემადგენლობის დაკომპლექტებისა და საქმიანობის წესები;
 - დ) დაამტკიცოს და გამოაცხადოს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ თითოეულ საგამოცდო საგანში აბიტურიენტის შედეგისათვის მისანიჭებელი კოეფიციენტი;
 - ე) მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლის შემდეგ სტუდენტისათვის შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
 - ვ) განახორციელოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.
8. აკადემიური საბჭოს საქმიანობა ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საკუთარი რეგლამენტის შესაბამისად.

მუხლი 10. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დაკომპლექტების წესი და უფლებამოსილება

1. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (შემდგომში წარმომადგენლობითი საბჭო), წევრთა რაოდენობა შეადგენს აკადემიური საბჭოს ორმაგ რაოდენობაზე მეტ ერთ-ერთ უახლოეს სამის ჯერად რიცხვს.
2. წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტებიდან ასარჩევ კანდიდატთა და ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების წესები განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით.
3. სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.
4. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით განსაზღვრული წესით, 4 წლის ვადით არჩეული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წარმომადგენელი.
5. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში იმ პირების შეყვანის საკითხზე, რომლებსაც უნივერსიტეტმა მიანიჭა კვალიფიკაცია, აგრეთვე დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა შეყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და მათი წარმომადგენლობის პროპორციასა და შეყვანის წესს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო, რასაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
6. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადა არის ოთხი წელი.
7. წარმომადგენლობითი საბჭოს პირველ სხდომას იწვევს რექტორი არა უგვიანეს 5 დღისა არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან.
8. პირველ სხდომას თავმჯდომარეობს წარმომადგენლობითი საბჭოს უხუცესი წევრი. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
9. წარმომადგენლობითი საბჭოს ახალარჩეული წევრების უფლებამოსილებას ცნობს საბჭო პირველ სხდომაზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
10. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში წარმოქმნილი ვაკანსიის შევსება ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. დაუშვებელია უფლებამოსილება შეწყვეტილი აკადემიური პერსონალის წევრის ნაცვლად არჩეულ იქნეს სტუდენტი ან პირიქით.
11. წარმომადგენლობითი საბჭო ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
12. წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობა ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად.

მუხლი 11. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი

1. წარმომადგენლობითი საბჭო ფარული კენჭისყრით, საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით თავისი რიგებიდან ირჩევს სპიკერს, რომელიც ორგანიზებას უწევს და თავმჯდომარეობს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების ჩატარებას.
2. სპიკერის კანდიდატურების წარდგენის წესი და ვადები დგინდება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით.
3. კენჭისყრას ატარებს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ არჩეული ხმის დამთ ვლელი კომისია.
4. სპიკერი აირჩევა წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადით.
5. არჩეულ სპიკერს უნივერსიტეტი არჩევიდან 2 კვირის ვადაში წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარეგისტრაციოდ.
6. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის თანამდებობრივი შეუთავსებლობა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

მუხლი 12. უნივერსიტეტის რექტორი და მისი უფლებამოსილება

1. უნივერსიტეტის რექტორი არის უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტს აკადემიურსა და სამეცნიერო სფეროებში.

2. რექტორობის კანდიდატთა რეგისტრაციისა და რექტორის არჩევნების ჩატარების წესები განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით.

3. რექტორი აირჩევა 4 წლის ვადით.

4. რექტორი უფლებამოსილია უნივერსიტეტის სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები, გამოსცეს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები. იმ შემთხვევაში თუ გარიგების, შეთანხმების დადება დაკავშირებულია ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებთან, მათ ხელს აწერს აგრეთვე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

5. რექტორი დებს და წყვეტს შრომით ხელშეკრულებებს უნივერსიტეტის პერსონალთან, გამოსცემს ბრძანებებს მათი დანიშნისა და გათავისუფლების შესახებ.

6. რექტორი ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

7. რექტორის არყოფნის შემთხვევაში, მისი ბრძანებით, რექტორის მოვალეობებს ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე.

8. რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

9. რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რექტორის თანამდებობის დაკავება ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 13. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და მისი უფლებამოსილება

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების სფეროში,

რომელიც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და წარმოადგენს უნივერსიტეტს საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში.

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატთა რეგისტრაციისა და

არჩევნების ჩატარების წესები განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით.

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი აირჩევა 4 წლის ვადით.

4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილება განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ წესდებით.

მუხლი 14. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და მისი უფლებამოსილება

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევად კონკურსს აცხადებს აკადემიური საბჭო.

2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების წესები განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით.

3. გარდა ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების ზოგადი საფუძველებისა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია წარმომადგენლობითი საბჭოს მოტივირებული გადაწყვეტილება, მიღებული აკადემიური საბჭოს წარდგინების ან საკუთარი ინიციატივის საფუძველზე.

4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი აირჩევა 4 წლის ვადით.

5. ერთი და იგივე პირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

6. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ტარდება ამ მუხლით გათვალისწინებული არჩევნების პროცედურა.

7. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და მისი უფროსის უფლებამოსილება განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ წესდებით.

მუხლი 15. ფაკულტეტი, მისი სტრუქტურა და მართვის ორგანოები.

1. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულია ფაკულტეტი. ფაკულტეტის სტრუქტურა (კათედრა, დეპარტამენტი, მიმართულება და სხვ.) განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით და ფაკულტეტის დებულებით.

2. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 16. ფაკულტეტის საბჭო და მისი უფლებამოსილება.

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები, ან, საჭიროების შემთხვევაში, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის არჩეული წარმომადგენლები. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა და არჩევის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით.

2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

3. ფაკულტეტის საბჭო იკრიბება სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ ფაკულტეტის საბჭოში წარმომადგენლების ან/და აკადემიური პერსონალის წარმომადგენელთა არჩევიდან არა უგვიანეს 5 დღისა. ფაკულტეტის საბჭო პირველი შეკრებისთანავე ცნობს თავის უფლებამოსილებას.

4. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ წესდებითა და საკუთარი დებულებით.

მუხლი 17. ფაკულტეტის დეკანი და მისი უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის დეკანს ირჩევს 4 წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების წესები განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით.

3. ფაკულტეტის დეკანი:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების შესრულებაზე; თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;

ბ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

გ) პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

დ) ადგენს ფაკულტეტის საქმის წარმოების წესს;

ე) ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

4. გარდა ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების ზოგადი საფუძვლებისა, დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

მუხლი 18. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზნები და უფლებამოსილება განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურებს ფაკულტეტის საბჭოებს წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

3. ფაკულტეტს შეიძლება წარედგინოს ერთი ან მეტი კანდიდატურა.

4. ერთი და იგივე პირი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი შეიძლება იყოს ფა- კულტეტის საბჭოს წევრი,

6. გარდა ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების ზოგადი საფუძვლებისა, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია ფაკულტეტის საბჭოს

მოტივირებული გადაწყვეტილება, მიღებული ფაკულტეტის დეკანის წარდგინების ან კერძო ინიციატივის საფუძველზე.

მუხლი 19. სადისერტაციო საბჭო და მისი უფლებამოსილება

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია შეიქმნას საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.

2. სადისერტაციო საბჭოს დაკომპლექტების წესი და უფლებამოსილება განისაზღვრება “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით და შესაბამისი დებულებით.

თავი IV

უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიები და არჩევნების ჩატარების წესები

მუხლი 20. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიები

1. უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების მიზნით იქმნება საარჩევნო კომისიები.

2. რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნისათვის საარჩევნო კომისიას ქმნის აკადემიური საბჭო.

3. აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებში წარმომადგენლების ასარჩევად, დეკანის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების ჩატარების მიზნით იქმნება ფაკულტეტის საარჩევნო კომისია.

4. საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის წევრი, აგრეთვე მართვის ორგანოს წევრი ან არჩევნებში მონაწილე კანდიდატი.

5. საარჩევნო კომისიების წევრთა რაოდენობა, კომისიების შექმნის წესი, მათი უფლებამოსილება განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით.

მუხლი 21. არჩევნების ჩატარების წესები

არჩევნების გამოცხადების, ამომრჩეველთა და კანდიდატთა რეგისტრაციის, საარჩევნო სიების შედგენის, წინასაარჩევნო სააგიტაციო კამპანიის წარმართვის, არჩევნების პროცესის ორგანიზების, ჩატარების, არჩევნების შედეგების შეჯამების, გამოცხადების, გასაჩივრების, საბოლოო შედეგების გამოქვეყნების წესებს, დამკვირვებელთა სტატუსს და დარღვევების ოქმის შედგენის წესებს ადგენს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება.

თავი V

უნივერსიტეტის პერსონალი

მუხლი 22. პერსონალი. პერსონალის თანამდებობრივი შეუთავსებლობა და თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლება

1. უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალი, ასევე მოწვეული სპეციალისტები და უნივერსიტეტის ან/და ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულების სამეცნიერო-კვლევითი პერსონალი.

2. უნივერსიტეტის პერსონალის სამსახურებრივი შეუთავსებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

3. პერსონალის თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების საფუძველი, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრულისა, არის უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების უხეში დარღვევა.

მუხლი 23. აკადემიური პერსონალი, მისი უფლება-მოვალეობები და შრომითი ურთიერთობები

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება სრული პროფესორებისაგან, ასოცირებული პროფესორებისაგან და ასისტენტ-პროფესორებისაგან, რომლებიც წარმართავენ ან/და მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში.

2. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და არჩევის პირობები რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით. დამატებითი ან/და განსხვავებული პირობები შეიძლება განსაზღვროს უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ. ამ პირობებს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

3. აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და უნივერსიტეტსა და აკადემიურ პერსონალს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებით.

4. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

5. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველები განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით, ასევე შრომითი ხელშეკრულებით. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს უნივერსიტეტის რექტორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გათავისუფლების საფუძველია შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა.

6. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის თავისუფლებას და ქმნის მისი საქმიანობისათვის შესაბამის პირობებს.

მუხლი 24. საპატიო დოქტორისა და ემერიტუსის აკადემიური წოდებები

1. აკადემიურ საბჭოს უფლება აქვს მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიანიჭოს საპატიო დოქტორის წოდება.

2. უნივერსიტეტის პროფესორთათვის ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭება ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 25. მოწვეული სპეციალისტები და მასწავლებელთა პერსონალი

1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია აკადემიური ან მასწავლებელთა პერსონალის თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი. რომელი, მონაწილეობს სასწავლო პროცესში.

2. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება უფროსი მასწავლებელი და მასწავლებელი. მასწავლებელთა პერსონალი და მოწვეული მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

3. მასწავლებლებელთა პერსონალისა და სასწავლო პროცესში მონაწილე მოწვეული სპეციალისტების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით. ამ თანამდებობების დაკავების პირობები, პედაგოგიური დატვირთვის სახე, ზღვრული ოდენობა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ, რასაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 26. ადმინისტრაციული თანამდებობები. თანამდებობის დაკავების და გათავისუფლების წესი

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, მათი მოადგილეები, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები. ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი.

2. ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავება ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით.

3. რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის დეკანის მოადგილეები თანამდებობაზე ინიშნებიან რექტორის ბრძანებით სათანადო მმართველი სუბიექტის წარდგინებით.

4. ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლები განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით, ასევე ამ წესდებით.

მუხლი 27. სამეცნიერო-კვლევითი პერსონალი. სამეცნიერო თანამდებობების დაკავების წესი

1. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით პერსონალს განეკუთვნება „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამეცნიერო-კვლევითი პერსონალი. მისი უფლებამოსილებანი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით.

2. სამეცნიერო თანამდებობების დაკავების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით გათვალისწინებული წესით.

3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი (მოწვეული მკვლევარი) სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობისათვის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით. მოწვეული მეცნიერების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებებით.

მუხლი 28. დამხმარე პერსონალი, მისი თანამდებობაზე დანიშნისა და გათავისუფლების წესი

დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება სამტატო ნუსხით გათვალისწინებული უნივერსიტეტის საქმიანობისათვის აუცილებელი პერსონალი.

თავი VI

სტუდენტი

მუხლი 29. სტუდენტი, მისი უფლებები და ვალდებულებები

1. უნივერსიტეტის სტუდენტი (შემდგომში – სტუდენტი) არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში ერთ-ერთი საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.

2. სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით, ამ წესდებით, უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მოხილობის ინსტრუქციით, სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციით, ასევე ფინანსური და სასწავლო ხელშეკრულებებით.

3. სტუდენტი ვალდებულია:

ა) ისწავლოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლებაც სავალდებულოა;

ბ) დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;

გ) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

დ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

მუხლი 30. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- ა) ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელი (ფინანსური დავალიანება);
- ბ) ავადმყოფობა;
- გ) უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
- დ) აკადემიური შვებულება;
- ე) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არა უგვიანეს ექვსი კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას.

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.

4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;

გ) პირადი განცხადება;

დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ამ წესდების 32-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადებში;

ე) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;

ვ) ფაკულტეტის საბჭოს მიერ სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება უნივერსიტეტის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე;

ზ) გარდაცვალება.

6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან ექვსი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია, ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან.

7. პირს, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, შეუძლია მისი აღდგენა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8. პირს, რომელსაც შეწყვეტილი აქვს სტუდენტის სტატუსი, შეუძლია მისი ხელახლა მოპოვება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 31. სტუდენტური თვითმმართველობა

1. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს ფაკულტეტებიდან არჩეული სტუდენტური თვითმმართველობების ერთიანობას, რომელიც საქმიანობას წარმართავს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და თავისი დებულების მიხედვით, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის წესდებას.

2. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა არჩევნების ორგანიზება-ჩატარებას განსაზღვრავს თავისი დებულებით.

3. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულების შესაბამისად:

ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში;

ბ) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;

გ) ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში;

დ) ხელს უწყობს სტუდენტთა თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენებას;

ე) შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტების ან უნივერსიტეტის მართვის სისტემების და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელსაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოს, აკადემიურ საბჭოს;

ვ) კოორდინირებულად მუშაობს უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტურ ორგანიზაციებთან, კლუბებთან, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრ სტუდენტებთან;

ზ) განახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება არ აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვით-მმართველობის საქმიანობაში.

თავი VII

უნივერსიტეტში უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხურები და მიღების წესები

მუხლი 32. უნივერსიტეტში უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხურები და მათი გეგმური ვადები

1. უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურებია:

ა) ბაკალავრიატი – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს 240 კრედიტს;

ბ) მაგისტრატურა – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს 120 კრედიტს;

გ) დოქტორანტურა – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს 180 კრედიტს.

2. საქართველოს ან საზღვარგარეთის სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ერთობლივი პროგრამების განხორციელების წესი განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VIII

უნივერსიტეტის ქონება, საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობა

მუხლი 33. უნივერსიტეტის ქონება

1. უნივერსიტეტის ქონებას შეადგენს:

ა) სახელმწიფოს, იურიდიული და/ან კერძო პირების მიერ უნივერსიტეტისათვის საკუთრებაში ან სარგებლობაში გადმოცემული ქონება (შენობა-ნაგებობები, მათი მიმდებარე ტერიტორიები, სპორტული მოედნები, საცდელ-საწარმოო და ლაბორატორიული ბაზები და ა.შ.);

ბ) უნივერსიტეტის მიერ საკუთარი სახსრებით შეძენილი ქონება.

2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს სამეწარმეო (კომერციული) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირები, რომლებიც განახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ, უნივერსიტეტის სპეციფიკასთან დაკავშირებულ სამეწარმეო/არასამეწარმეო საქმიანობას.

მუხლი 34. საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობა

უნივერსიტეტის ბიუჯეტი ყალიბდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 35. უნივერსიტეტის შემოსულობები და გასაწევი გადასახდელები

1. უნივერსიტეტის ბიუჯეტის შევსების წყაროს წარმოადგენს წლიური საბიუჯეტო და კერძო შემოსულობები:

ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) სწავლის საფასური, მათ შორის სახელმწიფო სასწავლო, სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო და სამეცნიერო-კვლევითი გრანტებით დაფინანსებული;

გ) საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები;

დ) დარგობრივი სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;

ე) გრანტის, შემოწირულობის სახით ან ანდერძით მიღებული შემოსულობები;

ვ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული შემოსულობები;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსულობები.

2. უნივერსიტეტის მიერ გასაწევი გადასახდელები ხორციელდება უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებისა და ფუნქციურ-ეკონომიკური კრიტერიუმების საფუძველზე.

მუხლი 36. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიუჯეტები

1. უნივერსიტეტის ბიუჯეტი ყალიბდება ცალკეული ფაკულტეტების ბიუჯეტებზე დაყრდნობით.

2. უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტს შეიმუშავებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ფაკულტეტებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად და აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით წარუდგენს დასამტკიცებლად წარმომადგენლობით საბჭოს.

3. უნივერსიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად ადმინისტრაციის ხელმძღვანელს აქვს უფლება უნივერსიტეტის სახელით დადოს ფინანსური და ეკონომიკური გარიგებები.

4. უნივერსიტეტის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე პასუხისმგებელია ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

5. უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემუშავებისა და დამტკიცების წესები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

მუხლი 37. აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

1. უნივერსიტეტი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნულ დამოუკიდებელ აუდიტორს შეუძლია უნივერსიტეტის წლიური ბალანსის შემოწმება.

თავი IX

სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 38. სახელმწიფო კონტროლი

1. უნივერსიტეტი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა.

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს უნივერსიტეტის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 39. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. უნივერსიტეტმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) სამტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) სხვა გადაწყვეტილებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

3. უნივერსიტეტის უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა, ქონებასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებს, ასევე უნივერსიტეტისათვის გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა/გასხვისება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უარი ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებაზე უნდა იყოს დასაბუთებული. უარი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში ან/და სასამართლოში.

თავი X

უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 40. უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. უნივერსიტეტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის“ შესახებ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული წესით.

2. უნივერსიტეტის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს მთავრობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით.

თავი XI

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 41. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილებებსა და დამატებებს შეიმუშავებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო, აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.